საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

2018 წლის 08 ოქტომბერი **ქ. თბილისი**

დისციპლინური საქმე №156/17

მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2017 წლის 08 სექტემბრის №-- საჩივრის საფუძველზე, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-7 მუხლის შესაბამისად (2018 წლის 01 მაისამდე მოქმედი რედაქცია), საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ, მოსამართლე -- -- მიმართ, დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 21 ივნისის №156/17 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 08 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივრებში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

-- საქალაქო სასამართლოს (მოსამართლე -- --) მიერ განხილულია მოსამართლის წინაშე მოწმე -- -- დაკითხვის შესახებ №--/----- საქმე. აღნიშნულთან დაკავშირებით, წარმოდგენილ საჩივარში მითითებულია შემდეგ ფაქტებზე:

1.1. მოწმის დაკითხვის 2017 წლის 07 ივლისის სასამართლო სხდომაზე, გამოსაკითხი პირის, მოწმე -- -- გონების დაკარგვამდე, სასამართლომ არ მოახდინა სათანადო რეაგირება და არ მისცა მოწმეს შესაძლებლობა, დაეტოვებინა სხდომის დარბაზი.

1.2. მოსამართლემ, იმისათვის რომ გარკვეულიყო სხდომაზე მოწმე -- -- ადვოკატის დასწრების საკითხი, შესვენების გამოცხადების გარეშე, ორჯერ დატოვა სასამართლოს

სხდომის დარბაზი და გავიდა პროკურორთან ცალკე სასაუბროდ. მომჩივანს მიაჩნია, რომ მოსამართლემ პროკურორთან აწარმოვა არაფორმალური კომუნიკაცია.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

-- საქალაქო სასამართლოს (მოსამართლე -- --) 2017 წლის 06 ივლისის განჩინებით, დაკმაყოფილდა -- პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის პროკურორის, -- -- შუამდგომლობა, მოსამართლის წინაშე მოწმის სახით -- -- (პატიმრობაში მყოფი) დაკითხვის თაობაზე.

-- საქალაქო სასამართლოში 2017 წლის 07 ივლისს დანიშნულ სასამართლო სხდომაზე, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, პენიტენციური დაწესებულების მიერ მოწმე -- -- ვერ იქნა წარმოდგენილი. აღნიშნულის გამო, იმავე დღეს, სასამართლოს გასვლითი სხდომა შედგა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დეპარტამენტის №-- დაწესებულებაში.

2017 წლის 07 ივლისის სასამართლოს (გასვლითი) სხდომა გაიმართა მოწმე -- -- მონაწილეობით, თუმცა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, სხდომა დახურულად გამოცხადდა მოწმის დაკითხვის გარეშე.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს (ფაქტებს), საჭიროა სამართლებრივი შეფასება მიეცეს მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შეფასდეს კონკრეტული ფაქტები, შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

3.1. საქართველოს სსსკ-ის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მძიმედ დაავადებულის გამოკითხვა/დაკითხვა ტარდება ექიმის ნებართვით და საჭიროების შემთხვევაში მისი დასწრებით.

საქმის მასალების თანახმად დადგენილია შემდეგი გარემოებები:

2017 წლის 07 ივლისს 14:00 საათზე, -- საქალაქო სასამართლოში დაინიშნა სასამართლო სხდომა, მოწმე -- -- დაკითხვის მიზნით. სხდომაზე, მოწმე, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ვერ იქნა წარმოდგენილი.

№-- პენიტენციური დაწესებულების მთავარი ექიმის 2017 წლის 07 ივლისის (11:00 საათი) ცნობის თანახმად, -- -- ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, მისი ტრანსპორტირება იყო მიზანშეუწონელი.

2017 წლის 07 ივლისს, სასამართლოს გასვლითი სხდომა შედგა №-- პენიტენციურ დაწესებულებაში. სხდომაში მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილი იქნა მოწმე -- --. სასამართლო სხდომის გახსნისთანავე, მოწმემ დააფიქსირა, რომ მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, იგი ვერ მიიღებდა საქმის განხილვაში მონაწილეობას. აღნიშნულის გამო, მოსამართლემ გასცა განკარგულება, სხდომაზე ექიმის გამოცხადების შესახებ. მოსამართლე: „ეხლა მოვა ექიმი, ექიმი თუ დაგვიდასტურებს, რომ თქვენ არ შეგიძლიათ დაკითხვაში მონაწილეობა, მაშინ დაკითხვა დღის წესრიგიდან მოიხსნება, მაგრამ თუ კი ექიმი ამას არ დაგვიდასტურებს...“. აღსანიშნავია, რომ განმარტების შემდგომ სხდომაზე შესვენება არ გამოცხადებულა. ექიმის სასამართლოს სხდომაზე გამოცხადების შემდეგ (ექიმი სასამართლო სხდომაზე შემოვიდა განმარტებიდან 2 წუთში), სასამართლომ მიმართა მას, რომ შეემოწმებინა დასაკითხი პირის ჯანმრთელობა, რის გამოც, მოსამართლემ დატოვა სხდომის ოთახი. სასამართლოს მიერ ამ შემთხვევაშიც გადაწყვეტილება, სხდომაზე შესვენების გამოცხადების თაობაზე მიღებული არ ყოფილა. მოსამართლის სასამართლო სხდომაზე დაბრუნების შემდეგ, გამოირკვა, რომ მოწმემ უარი განაცხადა ადვოკატის გარეშე სამედიცინო შემოწმებაზე, რის გამოც, მას სასამართლომ ნება დართო ადვოკატთან და ოჯახის წევრებთან სატელეფონო საუბარზე. მოსამართლე: „კი ბატონო, მოგცემთ საშუალებას კომუნიკაციის, რომ ადვოკატთან დაკავშირებით ჩამოყალიბდეთ, დაურეკეთ თქვენს ოჯახს, ვისაც გნებავთ...დაუკავშირდით თქვენს ოჯახს და ჩვენ შეგვიძლია გადავდოთ შუამდგომლობის განხილვა“. განმარტების შემდგომ, სასამართლო სხდომის აუდიოჩანაწერში ისმის ვარდნის ხმა, რასაც თან ერთვის მოსამართლის განმარტება „გაიყვანეთ... თავბრუ დაეხვა და წაიქცა“. სხდომის მიმდინარეობა შეწყდა 16:28 საათზე და განახლდა 18:06 საათზე. სხდომაზე წარმოდგენილი იქნა სამედიცინო ცნობა, მოწმის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. ცნობის საფუძველზე, სხდომა დახურულად გამოცხადდა მოწმის დაკითხვის გარეშე.

განსახილველ შემთხვევასთან მიმართებით მომჩივანი აღნიშნავს, რომ გამოსაკითხი პირის, მოწმე -- -- გონების დაკარგვამდე, სასამართლომ არ მოახდინა სათანადო რეაგირება და არ მისცა მოწმეს შესაძლებლობა, დაეტოვებინა სხდომის დარბაზი.

საკითხის გამოკვლევის შედეგად აღსანიშნავია, რომ არსებულ მოცემულობაში იკვეთება სასამართლოს ქმედებები, რაც წარმოადგენს კომპეტენციის ფარგლებში, სასამართლოს სამართლებრივ რეაგირებას, მოწმის ჯანმრთელობის სავარაუდო პრობლემასთან მიმართებით (საქართველოს სსსკ-ის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილი). კერძოდ, ჯანმრთელობის მდგომარეობის თაობაზე, მოწმემ განაცხადა სასამართლო სხდომის დაწყებისთანავე.

კერძოდ, იგი განმარტავდა, რომ შიმშილობდა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ვერ მიიღებდა დაკითხვაში მონაწილეობას. საკითხის გადამოწმების მიზნით, სასამართლოს მითითებით, სხდომაზე უზრუნველყოფილი იქნა ექიმის გამოცხადება (სხდომის მიმდინარეობის მე-10 წუთი), თუმცა, ადვოკატის გარეშე, სამედიცინო შემოწმების გავლაზე, მოწმემ უარი განაცხადა. აღნიშნულის შემდგომ, სასამართლომ ასევე გასცა ნებართვა, მოწმე უზრუნველყოფილი ყოფილიყო ადვოკატთან/ოჯახის წევრებთან საუბრის შესაძლებლობით. ამდენად, საკითხის გამოკვლევის ვალდებულებების პირობებში, სასამართლომ გამოიყენა სრული საპროცესო შესაძლებლობა, მოეხდინა სადაო ფაქტთან მიმართებით რეაგირება. შესაბამისად, მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობის/არაჯეროვნად შესრულების შემთხვევა, არ დასტურდება.

3.2. სასამართლო სხდომაზე შესვენების გამოცხადების პრეტენზიასთან მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში (07.07.18 სასამართლო სხდომა) სასამართლოს მიმდინარეობა ორჯერ შეჩერდა, თუმცა საპროცესო გადაწყვეტილება, შესვენების გამოცხადების თაობაზე, სასამართლოს არ მიუღია.

საკითხის სამართლებრივი რეგულირებასთან მიმართებით აღსანიშნავია, რომ საპროცესო კანონი ადგენს სხდომის მიმდინარეობის შეჩერების შესაძლებლობას, შესვენებისათვის საჭირო დროის განმავლობაში (საქართველოს სსსკ-ის 185-ე მუხლის მე-2 ნაწილი), თუმცა შესვენების შემთხვევაში, კანონი პირდაპირ არ მიუთითებს სასამართლოს მხრიდან საპროცესო გადაწყვეტილების მიღების სავალდებულობაზე.

აღსანიშნავია, რომ რეგულირების პროცესში ნორმის განსჭვრეტადობის კომპონენტი, უმთავრესია ქმედების დისციპლინური გადაცდომად შეფასების მიზნებისთვის. კონკრეტულ შემთხვევაში კი, არსებული რეგულაცია ამ კუთხით ბუნდოვანია. შესაბამისად, პირდაპირი საპროცესო ვალდებულებების არარსებობის გამო, კონკრეტული შემთხვევა ვერ შეფასდება დისციპლინურ გადაცდომად.

ამდენად, არ დასტურდება მოსამართლის მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გადაცდომის ჩადენის ფაქტები.

3.3. წარმოდგენილ საჩივარში მითითებულია მოსამართლის მიკერძოების შესაძლო ფაქტზე, სახელმწიფო ბრალმდებელთან მიმართებით. აღნიშნულის საფუძვლად, მომჩივანი კონკრეტულ შემთხვევაზე მიუთითებს და აღნიშნავს, რომ მოსამართლემ, იმისათვის რომ გარკვეულიყო სხდომაზე მოწმე -- -- ადვოკატის დასწრების საკითხი, შესვენების გამოცხადების გარეშე, ორჯერ დატოვა სასამართლოს სხდომის დარბაზი და გავიდა პროკურორთან ცალკე სასაუბროდ. მომჩივანს მიაჩნია, რომ მოსამართლემ პროკურორთან აწარმოვა არაფორმალური კომუნიკაცია.

საქმეში წარმოდგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2017 წლის 07 ივლისს, №-- პენიტენციური დაწესებულებაში გამართულ სასამართლოს გასვლით სხდომაზე, სხდომის მიმდინარეობა შეჩერდა, ექიმის მონაწილეობით, იმ გარემოების დასადგენად, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, თუ რამდენად შეძლებდა მოწმე -- -- (პატიმარი) სხდომაში მონაწილეობას (სასამართლო სხდომის აუდიოჩანაწერი, 12:56 წუთი).

პენიტენციური დაწესებულების ვიზუალური მეთვალყურეობის განმახორციელებელი ვიდეოკამერის ჩანაწერის თანახმად, რომელიც ასახავს სხდომის ოთახის მიმდებარე პერიმეტრს, დგინდება, რომ შესვენების პერიოდში, სხდომის ოთახი ერთდროულად დატოვეს მოსამართლემ და პროკურორმა (16:23:24). ისინი შენობის დერეფნის გავლით, გავიდნენ პენიტენციური დაწესებულების ეზოში, სადაც მათ შორის შედგა 19 წამიანი კომუნიკაცია, დამსწრე პირების გარეშე. საუბრის დასასრულს, პროკურორი ხელის ყურთან მიდების ჟესტიკულაციით (ე.წ. სატელეფონო საუბრის ჟესტიკულაცია), წყვეტს მოსამართლესთან საუბარს და შენობის დერეფნიდან ეზოში გამოსულ პირთან (სავარაუდოდ, პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელი) ერთად, ტოვებს მიმდებარე ტერიტორიას. აღნიშნულის შემდეგ, ვიდეოჩანაწერში ჩანს მხოლოდ მოსამართლე და შენობის დერეფნიდან გამოსული სხვა პირები (სავარაუდოდ პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლები), რომელთან კომუნიკაციაც, მოსამართლეს აღარ ჰქონია. მოსამართლე სხდომის ოთახში ბრუნდება 16:26:56 საათზე.

სასამართლო სხდომის აუდიოჩანაწერის თანახმად, სხდომის დარბაზში დაბრუნებული მოსამართლე, საკუთარი ინიციატივით განუმარტავს მოწმე -- --, რომ პროკურორი ადვოკატს უკავშირდება.

მოწმე: ვის ადვოკატს?
მოსამართლე: თქვენ ადვოკატს
მოწმე: ვინ არის ჩემი ადვოკატი?
მოსამართლე: -- ხო?
მოწმე: -- არ იქნება ამ საქმეში ჩემი ადვოკატი
მოსამართლე: ჩვენ კომუნიკაციის საშუალება არ გვაქვს?
მოწმე: და ეს რა არის ახალია რამე? პროკურორებთან რომ თათბირობთ თქვენო ღირსებავ?
მოსამართლე: არაფერს არ ვთათბირობ..
მოწმე: როგორ არა, აბა პირველად ვხედავ, რომ მოსამართლე და პროკურორები იდგნენ და ლაპარაკობდნენ ჩემს გარეშე, მონაწილეობის გარეშე.
მოსამართლე: პროკურორი გავაგზავნე, ტელეფონი აქვს ჩამორთმეული... დაურეკოს...

მოწმე: თქვენ აქედან შეგეძლოთ გაგეგზავნათ ხო? გახვედით ლაპარაკობთ ისე. ეს ჩანაწერი მერე აუცილებლად ექსპერტიზა გაუკეთდება, იქნება მთლიანი და უწყვეტი.. არ გამორთო-ჩართო...“.

ვიდეოჩანაწერის თანახმად, მოწმემ (ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო), პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლებთან ერთად სხდომის ოთახი დატოვა 16:30:42 საათზე, რის გამოც, სხდომაზე გამოცხადდა შესვენება. აღნიშნულის შემდეგ, პროკურორი სხდომის ოთახში დაბრუნდა 16:32:15 საათზე. სხდომის მიმდინარეობა განახლდა 18:06 საათზე, მოწმის დასწრების გარეშე და სხდომაზე წარმოდგენილი სამედიცინო ცნობის საფუძველზე, სხდომა დახურულად გამოცხადდა, მოწმის დაუკითხავად.

„საერთო სასამართლოების მოსამართლეებთან კომუნიკაციის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქმის სასამართლოში შესვლის მომენტიდან ამ საქმეზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე, აგრეთვე სისხლის სამართლის საქმის გამოძიების სტადიაზე აკრძალულია მოსამართლესთან პროცესის მონაწილის... კომუნიკაცია, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტული საქმის ან საკითხის განხილვასთან ან/და საქმის სავარაუდო შედეგთან და არღვევს სასამართლოს/მოსამართლის დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სასამართლო პროცესის შეჯიბრებითობის პრინციპებს.

„საერთო სასამართლოების მოსამართლეებთან კომუნიკაციის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მოსამართლის (სასამართლოს თავმჯდომარის) მიერ ამ კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით, ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრულ მოთხოვნათა დარღვევა გამოიწვევს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ დისციპლინურ პასუხისმგებლობას იმავე კანონით დადგენილი წესით.

განსახილველი შემთხვევის შეფასების კუთხით, უნდა აღინიშნოს, რომ დადგენილია ფაქტი - მოსამართლისა და პროკურორს შორის, სხდომის გარეშე 19 წამიანი კომუნიკაციის თაობაზე (პენიტენციური დაწესებულების ვიდეოჩანაწერი). აღნიშნული კი, პირველ რიგში, სავალდებულო წესით მოითხოვს ქმედებაზე მსჯელობას „საერთო სასამართლოების მოსამართლეებთან კომუნიკაციის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის ფარგლებში.

წარმოდგენილ მოცემულობაში, საგულისხმოა, რომ ზემოაღნიშნული კანონის მიზნებისთვის რელევანტურია კუმულაციურად დადგინდეს შემდეგი გარემოებები:

- მოსამართლისა და პროცესის მონაწილის კომუნიკაციის ფაქტი;
- კომუნიკაცია დაკავშირებული უნდა იყოს განსახილველ საქმესთან;

- ამგვარი კომუნიკაცია შედეგად უნდა იწვევდეს სასამართლოს დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სასამართლო პროცესის შეჯიბრებითობის პრინციპების დარღვევას.

როგორც აღინიშნა, პენიტენციური დაწესებულების ვიზუალური მეთვალყურეობის განმახორციელებელი ვიდეოკამერის ჩანაწერით, უტყუარად დადასტურებული ფაქტია, რომ მოსამართლესა და პროკურორს შორის, პენიტენციური დაწესებულების ეზოში შედგა 19 წამიანი კომუნიკაცია, სხვა პირთა დასწრების გარეშე. რაც შეეხება საკანონმდებლო ჩანაწერის სხვა მოთხოვნებს, „კონკრეტული საქმის ან საკითხის განხილვასთან“ მიმართებით, უნდა აღინიშნოს, რომ შეუძლებელია დაზუსტებით განისაზღვროს კომუნიკაციის შინაარსი. საქმეში მტკიცებულების სახით მოკვლეულია, პენიტენციური დაწესებულების ვიზუალური მეთვალყურეობის განმახორციელებელი ვიდეოკამერის ჩანაწერი, აუდიო ვერსიის გარეშე, რაც მხოლოდ ვიზუალური აღქმის შესაძლებლობას იძლევა.

აღნიშნულის პარალელურად, მიუხედავად იმისა, რომ უტყუარად არ დგინდება, შეეხებოდა თუ არა საუბარი კონკრეტულ საქმეს, მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს ასევე იმ ვერსიას, რომ კომუნიკაციის საკითხი შესაძლოა უკავშირდებოდა მოწმის ადვოკატთან სატელეფონო ზარის განხორციელებას. საგულისხმოა, რომ აღნიშნულზე, სასამართლო სხდომაზე განმარტებას აკეთებს თავად მოსამართლე და მიუთითებს, რომ მასსა და პროკურორს შორის საუბარი მოწმის ადვოკატთან სატელეფონო ზარის განხორციელებაზე შედგა. მოსაზრება ამ კუთხით, არ ეწინააღმდეგება საქმეში წარმოდგენილი სხვა ფაქტებსაც (ვიდეოჩანაწერში ასახულ პროკურორის ქმედებებს). არსებული ვერსიის გაზიარების შემთხვევაში, უნდა აღინიშნოს, რომ საუბრის თემა შემხებლობაშია განსახილველ საქმესთან, თუმცა ქმედების შედეგობრივად შეფასების დროს, იგი არ პასუხობს „საერთო სასამართლოების მოსამართლეებთან კომუნიკაციის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს. კერძოდ, მოწმის ადვოკატთან სატელეფონო ზარის განხორციელების დავალება, ადვოკატის სხდომაზე მონაწილეობის მიზნით, შინაარსობრივად ვერ იქნება აღქმული იმგვარად, რომ მან გამოიწვია სასამართლოს დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სასამართლო პროცესის შეჯიბრებითობის პრინციპების დარღვევა.

ამდენად, განსახილველ შემთხვევასთან მიმართებით, მოსამართლის მხრიდან „საერთო სასამართლოების მოსამართლეებთან კომუნიკაციის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევის ფაქტი, არ დასტურდება.

ამასთან, ფაქტის სწორად შეფასების მიზნით, ყურადღება უნდა გამახვილდეს ურთიერთობის მარეგულირებელ სხვა სამართლებრივ საკითხებზე:

სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების 3.1. პუნქტის თანახმად, მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს რომ მისი საქციელი გონიერი დამკვირვებლის თვალში იყოს

უმწიკვლო. ამასთან, 3.2. პუნქტის შესაბამისად, მოსამართლის ქცევამ და მოქმედებამ უნდა განამტკიცოს საზოგადოების ნდობა სასამართლოს შეუვალობის მიმართ. მართლმსაჯულება არა მხოლოდ უნდა აღსრულდეს, არამედ უნდა გამოჩნდეს როგორც აღსრულებული.

„მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების“ განმარტების უზრუნველყოფის მიზნით, მნიშვნელოვანია აღინიშნოს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს (ECOSOC) 2006 წლის 27 ივლისის 2006/23 რეზოლუციის საფუძველზე, შექმნილი ღია შემადგენლობის სამთავრობათაშორისო ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული ე.წ. „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების“ ოფიციალურ კომენტარებზე, სადაც აღნიშნულია, რომ „ის, თუ როგორ აღიქვამს საზოგადოება მოსამართლის საქმიანობას, არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი საქმიანობა საკუთრივ; ამიტომ მოსამართლე ყოველგვარ ეჭვსგარეშე უნდა იყოს. მოსამართლე არა მარტო უნდა იყოს პატიოსანი, არამედ აღიქმებოდეს ასეთად. მოსამართლის ვალი მხოლოდ ის კი არ არის, რომ სამართლიანი და ობიექტური გადაწყვეტილება გამოიტანოს, მან ეს ისე უნდა გააკეთოს, რომ ამ გადაწყვეტილების სამართლიანობასა და ობიექტურობაში, ასევე მოსამართლის პატიოსნებაში დაეჭვების შესაძლებლობა გამოირიცხებოდეს. ამიტომ მოსამართლეს უნდა ჰქონდეს არა მარტო მაღალი კვალიფიკაცია სამართლის საკითხებში, არანაკლებ მნიშვნელოვანია, ის ისე მოქმედებდეს და იქცეოდეს, რომ სასამართლო პროცესის მხარეები დარწმუნებულნი იყვნენ მის მიუკერძოებლობასა და ობიექტურობაში“.[1]

მოსამართლეთა საყოველთაო ქარტიის მე-5 მუხლის თანახმად, სამოსამართლო საქმიანობის განხორციელებისას მოსამართლე უნდა იყოს მიუკერძოებელი და ეს უნდა იყოს გამოხატული. მოვლენათა გარეგნულად გამოჩენის ფორმას – აღქმას, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან, ამ დროს სასწორზე დევს ის ნდობა, რომელსაც სასამართლოები ნერგავენ დემოკრატიულ საზოგადოებაში.

ევროპული სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრეცედენტული სამართლის თანახმად, მიუკერძოებლობა გულისხმობს წინასწარ შექმნილი შეხედულებებისა თუ გავლენების არ ქონას და მე-6 მუხლის მიზნებისათვის იგი შემდეგი გარემოებების საფუძველზე დგინდება: სუბიექტური ტესტით, რომლის თანახმად ფასდება კონკრეტული მოსამართლის პირადი მოსაზრებები, ქცევა - გააჩნდა თუ არა მოსამართლეს მოცემული საქმის შედეგით პირადი დაინტერესება ან, ჰქონდა თუ არა მას წინასწარ შექმნილი უარყოფითი დამოკიდებულება; და ობიექტური ტესტით, უზრუნველყოფილია თუ არა, სასამართლო მიუკერძოებლობის თაობაზე, საფუძვლიანი ეჭვების გამომრიცხავი სათანადო გარანტიები (*Fey v. Austria; Wettstein v. Switzerland*). სადაც რთულია მოსამართლის სუბიექტური მიუკერძოებლობის შესახებ პრეზუმფციის საწინააღმდეგო მტკიცებულების მოპოვება, ობიექტური

[1] „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები“ და მისი კომენტარები, §110, გვ. 125, თბილისი 2005;

მიუკერძოებლობის (ობიექტური ტესტი) მოთხოვნები მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს. სასამართლო მიუკერძოებელი უნდა იყოს ობიექტური თვალსაზრისითაც, ე.ი. ის უნდა თავაზობდეს საზოგადოებას საკმარის გარანტიებს, რათა გამოირიცხოს ლეგიტიმური ეჭვი ამ კუთხით (*Pullar v. the United Kingdom*).

განსახილველ შემთხვევასთან მიმართებით, შეუძლებელია დადგინდეს მოსამართლის მიკერძოების ფაქტი, მიკერძოების სუბიექტური ტესტის საფუძველზე, ვინაიდან დაუზუსტებელია კომუნიკაციის შინაარსი.

რაც შეეხება ობიექტური თვალსაზრისით მოსამართლის მიკერძოებას, აღსანიშნავია, რომ 19 წამიანი საუბარი, ანუ კომუნიკაციის ხანგრძლივობა, საუბრის დროს გამოყენებული ჟესტიკულაციები და ასევე სხვა ფაქტორები (საუბრის ადგილი სამეთვალყურეო კამერების პირობებში, მოსამართლის განმარტება საკითხზე, რეალურად არსებული ადვოკატის გამოუცხადებლობის პრობლემა) გარეშე დამკვირვებლისთვის „მომეტებული ალბათობის“ ხარისხით არ იძლევა იმ დასკვნის შესაძლებლობას, რომ კომუნიკაცია დაკავშირებული იყო კონკრეტული საქმის ან საკითხის განხილვასთან ან/და საქმის სავარაუდო შედეგთან. შესაბამისად, არ დგინდება მოსამართლის მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გადაცდომის ფაქტი.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“

ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2018 წლის 08 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე საკითხის განხილვაში მონაწილე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 13 წევრთაგან 11 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №156/17 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი